ოქმი:**ო37. 3726147001**

თარიღი:**27/05/2026**

ოქმი N 10

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის

2026 წელი, 27 მაისი

ქ. ოზურგეთი

11:00-12 :00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე- დ.კიკვაძე; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ტ. არუშიძე; საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, მ. ჩხიკვიშვილი, ბ. თოიძე, ტ. ბარამიძე; საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ქ. ხომერიკი, დ. ხურციძე, ე. გორდელაძე.

საკრებულოს წევრები: ნ. გოლიაძე, ნ. ჭანიშვილი, თ. ქავთარია, ვლ. ხავთასი, ხ. ცერცვაძე, ნ. ურუშაძე, გ. კალანდაძე, ნ. ნადირაშვილი, გ. ხიდიბეგიშვილი, , გ. მდინარაძე, დ. ასათიანი, თ. ქინქლაძე, ი. დობორჯგინიძე, ნ. გობრონიძე, ლ. კილაძე, ლ. მესხი, მ. ცქვიტიშვილი, დ. თოიძე, გ. კილაძე, ქ. კვაჭანტირაძე, ზ. მორჩილაძე, ზ. სალუქვაძე, ლ. კვაჭაძე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე. საკრებულოს 46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა-34-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, შემდეგ გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი, რომლიც დამტკიცეს 34 -ხმით.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხლვის შესახებ”- განხილვისა და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსნებელი: პავლე ჭყონია

გელა ჩავლეშვილი

ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს წევრმა ლ. კილაძემ თანამომხსენებელ პ. ჭყონიას დაუსვა შეკითხვა- რამ განაპირობა სარეზერვო ფონდის ხარჯვის ასეთი შემცირება? უპასუხეს, რომ სოციალური და სხვა დახმარებების გაცემა მაქსიმალურად განხორციელდა ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამული მუხლებიდან.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა ანგარიში და მხარს უჭერს მის ცნობად მიღებას.

20.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ"-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34- ხმით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ განაცხადა, რომ თვით სიტყვა „ნუსხა" გულისხმობს ჩამონათვალს, ამიტომ უმჯობესი იყო რამდენიმე ობიექტი ყოფილიყო, ალბათ შემდგომში, ამ განკარგულებაში ცვლილებების შეტანით, მოხდება საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის ფორმირება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ განიხილა პროექტი და მხარს უჭერს მის საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენებას.

21.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ"--ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34- ხმით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ გაიხილა პროექტი და მხარს უჭერს მის საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენებას.

22.4. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე"-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 15 მაისის N19 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: თამაზ ჩავლეშვილი

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34- ხმით.

საკრებულოს წვრმა ლ. კვაჭაძემ დასვა შეკითხვა-რა ტიპის განათებები მოეწყობა ქუჩებზე? უპასუხეს, რომ მოეწყობა ლამპიონები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ გაიხილა პროექტი და მხარს უჭერს მის დამტკიცებას.

23.5.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ”- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენლების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

მარიკა ჩხიკვიშვილი

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34- ხმით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ და საკრებულოს წევრმა ნ. ჭანიშვილმა აღნიშნეს, რომ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია მუნიციპალიტეტისათვის, ნ. ჭანიშვილმა დასვა შეკითხვა-როგორ მოხდება მოსახლეობის ინფორმირება პროგრამის ამუშავების დაწყების თაობაზე? უპასუხეს, რომ ინფორმაცია განთავსდება მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე, ამასთან ერთად ინფორმირებული იქნებიან მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში და საკრებულოს წევრები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიების თავმჯდომარეებმა ბ. თოიძემ და მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადეს, რომ კომისიებმა განიხილეს პროექტი და მხარს უჭერენ მის საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენებას.

24.6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით კიკვაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34- ხმით.

25.7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შეკვეთილში არსებული უსახელო ქუჩისათვის „კაპროვანის“ სახელის მინიჭების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34- ხმით.

26.8. „ქ. ოზურგეთში, რუსთაველის ქუჩა N39-ში მდებარე სპორტული მოედნის „მეგობრობა“-სთვის სახელის გადარქმევისა და „კოტე გოგატაძის“ სახელის მინიჭების შესახებ“--ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34- ხმით.

27.9. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში მდებარე N2 ქუჩისათვის „ეგნატე ნინოშვილის“ სახელის მინიჭების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34- ხმით.

28.10. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ შეკვეთილში მდებარე უსახელო ქუჩისათვის ,,სანაპიროს“ სახელის მინიჭების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34- ხმით.

11.ინფორმაცია- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წელს იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთების მიზნობრივად გამოყენებისა და საიჯარო ქირის ამოღების მდგომარეობის შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

12. ინფორმაცია-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობისა და ანგარიშების

შედგენის მდგომარეობის შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

13. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი